

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

შპს „ხრამჭესი 1“ აქციონერს

ჩვენ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2024 წლის 2 თებერვალს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩაგვიტარებია მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



ანა კუსრაშვილი (SARAS-A-169041)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

თბილისი, საქართველო

2024 წლის 23 სექტემბერი

სააქციო საზოგადოება

ხრამჰესი I 243119727

წლიური ანგარიში

2023 წელს გაწეული

მუშაობის შედეგების მიხედვით

გენერალური დირექტორი: დევი კანდელაკი



შინაარსი

1. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში საზოგადოების საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების განვითარების შედეგების შესახებ.....	2
3. საზოგადოების საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები.....	3
4. საზოგადოების განვითარების პერსპექტივები.....	6
5. საინვესტიციო საქმიანობა.....	8
6. შესყიდვითი საქმიანობა.....	9
7. ანგარიში კომპანიის აქციებზე გამოცხადებული (დარიცხული) დივიდენდების შესახებ.....	10
8. კორპორაციული მართვა.....	12
9. საზოგადოების შიდა კონტროლის სისტემის ხასიათი.....	12
10. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა.....	13
11. გარემოს დაცვა.....	17
12.დამატებითი ინფორმაცია აქციონერებისათვის.....	21

1. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში საზოგადოების საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების განვითარების შედეგების შესახებ

საზოგადოების საქმიანობის ძირითად მიმართულებას ელექტროენერგიის წარმოება და რეალიზაცია წარმოადგენს. სამეთვალყურეო საბჭოს შეფასებით, საზოგადოების საქმიანობის განვითარების გზა მთლიანობაში წარმატებულია. თავისი მოღვაწეობის ამ პერიოდის მანძილზე სს „ხრამჭესი 1“-მა კომპანიის სტაბილური ფუნქციონირება მოახერხა.

სამეთვალყურეო საბჭოს ენიჭება განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი როლი აქციონერთა უფლებების უზრუნველყოფაში, კომპანიის სტრატეგიის ფორმირებისა და რეალიზაციის საქმეში და აგრეთვე მისი წარმატებული ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის უზრუნველყოფაში.

სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობა ორგანიზებული იყო დამტკიცებული სამუშაო გეგმის შესაბამისად, რეგულარულად კონტროლდებოდა დავალებებისა და გადაწყვეტილებების შესრულების პროცესი. საანგარიშო პერიოდში შეუსრულებელი გადაწყვეტილებები არ ფიქსირდება.

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მუშაობის შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ თავისი უფლებების განხორციელების და მოვალეობების შესრულების დროს ყველა წევრი მოქმედებდა საზოგადოების ინტერესების დაცვით, კეთილსინდისიერად და გონივრულად, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ყველა სხდომაში.

მომდევნო წლებში სამეთვალყურეო საბჭო, ჩვეულებისამებრ, განსაკუთრებულად დიდ ყურადღებას დაუთმობს კორპორაციული მართვის ხარისხის გაუმჯობესებას და კომპანიის მომგებიანობის ამაღლებას, ასევე მდგრადი, საიმედო და კონკურენტუნარიანი პოლიტიკის გატარებას რეალიზაციის ძირითად ბაზრებზე.

2. საზოგადოების საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები


საზოგადოების ძირითადი სამეწარმეო და ფინანსური მაჩვენებლების დინამიკა შეიძლება შემდეგნაირად დახასიათდეს:

საქმიანობის ძირითადი სამეწარმეო მაჩვენებლები

მილიონი კვტ
*სთ

მაჩვენებლები	2022წ	2023 წ	% ცვლილება ¹
ელექტროენერგიის გამომუშავება	226	206	-8.8%
ელექტროენერგიის ხარჯვა საკუთარი საჭიროებებისათვის და დანაკარგები ტრანსფორმატორებში	2.7	3.3	22.2%
ელექტროენერგიის სასარგებლო გაშვება	223	203	-9.2%

¹აქ და შემდეგში მონაცემების პროცენტული თანაფარდობა გამოთვლილია იმ მონაცემებით, რომლებიც ცხრილში შესაბამისი განზომილების შეზღუდვით აისახა



საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 28.11.2019 წლის N31 დადგენილების საფუძველზე განისაზღვრა სს „ხრამჭესი 1“-ის ახალი გრძელვადიანი ზღვრული ტარიფი - 2022 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით - 2.3 თეთრი/კვტსთ.

რეალიზაციიდან მიღებულმა შემოსავალმა ფულადი სახით 4 653 ათასი ლარი შეადგენა.

ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის მაჩვენებლები

ათასი ლარი

მაჩვენებლების დასახელება	2022წ.	2023წ.	% ცვლილება ²
ძირითადი საქმიანობიდან მიღებული მოგება (ზარალი)	1 572	-17 391	-1 205.6%

EBITDA	753	-538	-171.4%
რენტაბელურობა EBITDA-ს მიხედვით, %	14.7%	-11.6%	-178.9%
აქტივების რენტაბელურობა (ROA), %	2.4%	-29.3%	-1 320.8%
საკუთარი კაპიტალის რენტაბელურობა (ROE), %	1.6%	-8.1%	- 606.3%
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	2.23	0.57	-74.4%
ფინანსური მდგრადობის კოეფიციენტი	0.92	0.91	-1.1%
სესხის სახით მიღებულ რესურსებსა და საკუთარ აქტივებს შორის თანაფარდობა	0.08	0.10	25.0%
ვალი/EBITDA	0.13	-0.15	-215.4%
წმინდა ვალი, ათასი ლარი	-8 926	- 1 419	-84.1%

ფინანსურ-ეკონომიკური საქმიანობის მაჩვენებლების საშუალებით საზოგადოების შემოსავლიანობის შემცირების ილუსტრაცია ხდება, რასაც ცხადყოფს ისეთი ინდიკატორების დაცემა, როგორიცაა რენტაბელობის მაჩვენებლები. აღნიშნული შემცირება დაკავშირებულია იმ ზარალთან, რომელიც მიღებულია 2023 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით განხორციელებული ძირითადი საშუალებების გადაფასებით, ასევე მოგების გადასახადის ზრდასთან, რაც გამოწვეულია გაცემული დივიდენდების მატებით.

²აქ და შემდეგში მონაცემების პროცენტული თანაფარდობა გამოთვლილია იმ მონაცემებით, რომლებიც ცხრილში შესაბამისი განზომილების შეზღუდვით აისახა

გადახდისუნარიანობა და საკრედიტო რისკის დონე უმნიშვნელოდაა შემცირებული, მაგრამ საკუთრივ ლიკვიდურობის კოეფიციენტების სიდიდე, ფინანსური მდგრადობისა და ნასესხები და საკუთარი საშუალებების მაჩვენებლების თანაფარდობაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოება ფინანსურად სტაბლური ორგანიზაციაა.

ისევე როგორც წინა პერიოდში, საანგარიშო წელსაც უარყოფითია მაჩვენებელი „სუფთა ვალი“, რაც იმას ნიშნავს, რომ ფულადი საშუალებების მოცულობა საკრედიტო ვალდებულებების მაჩვენებელს აღემატება.

მონაცემები განსაზღვრულია საზოგადოების 2023 წლის ფინანსური (საბუღალტრო) ანგარიშგების მაჩვენებლების მიხედვით, ფასს-ის სტანდარტების შესაბამისად და დამოწმებულია EY Georgia LLC-ის აუდიტორის მიერ.

საზოგადოების ფინანსური ანგარიშგება ყველა საჭირო განმარტებითურთ მოცემულია წლიური ანგარიშის დანართში.

3. საზოგადოების განვითარების პერსპექტივები

რეფორმა ენერგეტიკულ სექტორში

2006 წელს, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა დადგენილება № 3259 "საქართველოს ენერგეტიკის სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ". ამ მარეგულირებელი დოკუმენტის აღსრულების ფარგლებში დაისახა გეგმა კონკურენტუნარიან (საბითუმო) ბაზარზე გადასვლის შესახებ, რომელიც ლიბერალიზაციის სპეციფიკურ ეტაპებს მოიცავდა. გეგმაში გათვალისწინებული იყო მომხმარებლის კონკურენტულ ბაზარზე ეტაპობრივი შესვლა.

2014 წელს ევროკავშირმა და საქართველომ ხელი მოაწერეს ასოცირების ხელშეკრულებას, რომლის განუყოფელი ნაწილია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ზონის ხელშეკრულება. 2016 წლის 18 ოქტომბერს,

საქართველომ ხელი მოაწერა ოქმს ევროპულ ენერგეტიკულ საზოგადოებაში შესვლის შესახებ და ავტომატურად მიუერთდა ელექტროენერგიის, გაზის, ნავთობთან, განახლებადი ენერგიასთან, ენერგოეფექტურობასა და გარემოსთან დაკავშირებულ იმ დირექტივებსა და წესებს, რომლებიც ევროკავშირს გააჩნია.

ენერგეტიკულ საზოგადოებაში გაწევრიანების ოქმის მიხედვით, საქართველომ ენერგომატარებლების თავისუფალი ბაზრის შექმნისა და, ამავდროულად, თავისუფალი კონკურენციის პრინციპის დაცვის ვალდებულება აიღო. ამ რეფორმის განსახორციელებლად შემუშავდა კანონი „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“. ეს კანონი 2019 წლის 20 დეკემბერს იქნა მიღებული და იმავე დღეს შევიდა ძალაში; ამასთან, გარდამავალი პერიოდი 2022 წელს დასრულდა. 2022 წლის მარტიდან იგეგმებოდა ელექტროენერგიის ორგანიზებული საბითუმო ბაზრების ამოქმედება, მათ შორის:

- საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა (ვაჭრობა ხორციელდება ელექტროენერგიის მიწოდებამდე ერთი დღით ადრე, ან მიწოდების დღეს);
- საბალანსო ელექტროენერგიისა და დამხმარე სერვისების ბაზარი (სადაც ვაჭრობის საგანია საბალანსო ელექტროენერგია და საქართველოს ენერგოქსელში სტაბილური სიხშირეების მხარდაჭერა).

ზემოაღნიშნული ბაზრების გარდა, 2022 წლიდან იგეგმებოდა ორმაგი ხელშეკრულებების საბითუმო ბაზრის (ელექტროენერგიით ვაჭრობისა და ყიდვა-გაყიდვის გრძელვადიანი შეთანხმებების გაფორმებისათვის შექმნილი ონლაინპლატფორმის) ამოქმედებაც.

თუმცა, ამჟამად არსებული მდგომარეობით, საქართველოს ენერგეტიკის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების თანახმად, ელექტროენერგიის ორგანიზებული საბითუმო ბაზრების ინიციაცია 2024 წლის ივლისამდე გადაიდო.

ამ რეფორმას მნიშვნელოვანი გავლენა არ ექნება კომპანიის წარმოებასა და კომერციულ საქმიანობაზე, რადგან კომპანიისთვის ტარიფები დაწესებულია გრძელვადიანი პერიოდით 2025 წლამდე. 10.12.2020 წ-ის No740 დადგენილებით საზოგადოება საჯარო მომსახურების მიმწოდებელი საწარმოების სიაში შევიდა (რეგულირებადი სადგური). ეს ნიშნავს იმას, რომ

კომპანიის ტარიფები ფიქსირდება და ბირჟაზე ელექტროენერგიის ფასზე არ არის დამოკიდებული. მწარმოებელთა ტარიფების დერეგულაცია 2027 წლის პირველი იანვრიდან იგეგმება და, შესაბამისად, ამ ეტაპზე რეფორმა უფრო მეტად გამანაწილებელ კომპანიებს შეეხება.

საზოგადოებამ მეთოდის „სს ხრამჭესი I-ის არაპროფილური აქტივების გამოვლენა და განკარგვა“ შესაბამისად ჩაატარა აღწერა, ანუ მოახდინა ადგილზე არსებული არაპროფილური აქტივების სრული ინვენტარიზაცია, რაც აქტივების ფაქტობრივი არსებობისა ბუღალტრული აღრიცხვის რეგისტრების მონაცემებთან შეპირისპირებას გულისხმობს. ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციის შედეგების გამოყენებით ჩატარდა აქტივების პროფილურობის ანალიზი. პირველ რიგში, გამომდინარე იქიდან, რომ საზოგადოების საქმიანობის ერთადერთი სახეობა ელექტროენერგიის წარმოებაა, სს „ხრამჭესი 1“-ის აქტივების მთელი კომპლექსი განისაზღვრა მმართველობითი აღრიცხვის ერთ ერთეულად და სახელად „ხრამჭესი 1“ ეწოდა. საზოგადოების მმართველობის მხრიდან არაპროფილური აქტივების გამოვლენის (არაპროფილური აქტივების მიმართულების განსაზღვრის) მიზნით ჩატარებული ანალიზის საფუძველზე გამოცხადდა, რომ კვლევის ობიექტის შესწავლისას არაპროფილური აქტივები არ გამოვლენილა.

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭომ სს „ხრამჭესი 1“-ის არაპროფილური აქტივებისა და არაპროფილური აქტივების რეესტრის განკარგვის პროგრამის შემუშავება არამიზანშეწონილად მიიჩნია (ოქმი N16 – 27.12.2023)

4.საინვესტიციო საქმიანობა

2023 წელს კომპანიამ განახორციელა ინვესტიციები კაპიტალდაბანდების სახით:

მუხლის დასახელება	თანხა
ფინანსირება, ათასი ლარი დღს-ს ჩათვლით	1 967
ათვისება , ათასი ლარი დღს-ს გარეშე	1 644

ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციაში შეყვანა , ათასი ლარი დღს-ს გარეშე	6 878
--	-------

5. შესყიდვითი საქმიანობა

2023 წელს შესყიდვის საქმიანობის განხორციელებისას, საზოგადოება ხელმძღვანელობდა დებულებით სს „ხრამჭესი I“-ის საჭიროებებისთვის საქონლის, მომსახურების და სამუშაოების რეგლამენტირებული შესყიდვების ჩატარების წესის შესახებ, რომელიც დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, (ოქმი N8, 30.07.2021).

სს „ხრამჭესი I“-ის შესყიდვების წლიური კომპლექსური პროგრამა 2023 წლისთვის დამტკიცებულია ცენტრალური შესყიდვის კომიტეტის გადაწყვეტილებით (ოქმი № 370-0008-2022; 29.11.2022) – 3 175 ათას ლარზე (დღს-ს გარეშე). 2023 წლის შესყიდვების წლიურ კომპლექსურ პროგრამაში 40 ლოტია.

2023 წელს საზოგადოების ინტერესების უზრუნველსაყოფად განხორციელებულ იქნა 43 შეძენა, რისთვისაც დაიხარჯა 3 204 ათასი ლარი (დღს-ს გარეშე)

№№	დასახელება	რაოდენობა	შესყიდვების საერთო ღირებულება დღს-ს გარეშე (ათასი ლარი)
1	შეთავაზების ღია მოთხოვნა	22	2 341
2	ფასების ღია მოთხოვნა	5	89

3	ერთადერთი მიმწოდებლისგან შესყიდვა	5	669
4	შესყიდვების რიგი 25000 ათას ლარამდე	11	105
	სულ	43	3 204

2023 წლისთვის შესყიდვების წლიური კომპლექსური პროგრამის (შწკპ) შესრულების მოცულობამ (შესყიდვების წლიურ კომპლექსურ პროგრამაში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით) შეადგინა 95.4% ღირებულების მიხედვით და 100% რაოდენობის მიხედვით.

6.კომპანიის აქციებზე გამოცხადებული (დარიცხული) დივიდენდების შესახებ ანგარიში

ერთადერთი აქციონერის მიერ 2017 წლის 17ივლისს მიღებული N2 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სადივიდენდო პოლიტიკით განისაზღვრება შემდეგი ძირითადი პრინციპები:

- საზოგადოების მიერ დივიდენდების გადახდის უზრუნველყოფის პრინციპი;
- საზოგადოების ფინანსური მდგრადობისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის პრინციპი;
- საზოგადოების საინვესტიციო საქმიანობის ფინანსირების წყაროების ოპტიმალურობის უზრუნველყოფის პრინციპი.

სადივიდენდო პოლიტიკის მიზანია საზოგადოებისა და აქციონერების ინტერესების ბალანსის უზრუნველყოფა დივიდენდების ოდენობის, მათი გადახდის პირობებისა და წესების განსაზღვრისას.

სს „ხრამჭესი 1“-ის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 3 447 237 ლარს. ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა შეადგენს 3 447 237 ცალს და თითოეულის ნომინალური ფასი 1 ლარით განისაზღვრება.

დივიდენდების ისტორია

წელი	დივიდენდების დარიცხვისა და გადახდის საფუძველი	დივიდენდების ოდენობა (ათასი ლარი)
2011	ერთადერთი აქციონერის გადაწყვეტილება N1 – 29.06.2011	1 700
2014	ერთადერთი აქციონერის გადაწყვეტილება N2 – 18.09.2014	2652
2015	ერთადერთი აქციონერის გადაწყვეტილება N1 – 14.03.2015 ერთადერთი აქციონერის გადაწყვეტილება N3 – 10.09.2015 ერთადერთი აქციონერის გადაწყვეტილება N4 – 25.12.2015	15610
2016	ერთადერთი აქციონერის გადაწყვეტილება N1 – 21.03.2016 ერთადერთი აქციონერის გადაწყვეტილება N3 – 29.09.2016 ერთადერთი აქციონერის გადაწყვეტილება N4 – 27.12.2016	10 500
2017	ერთადერთი აქციონერის გადაწყვეტილება N3 – 27.12.2017	7 200
2018		-
2019	ერთადერთი აქციონერის გადაწყვეტილება N1 – 25.03.2019 ერთადერთი აქციონერის გადაწყვეტილება N3 – 27.12.2019	9 600
2020	ერთადერთი აქციონერის გადაწყვეტილება N2 – 28.12.2020	9 000
2021	ერთადერთი აქციონერის გადაწყვეტილება N3 – 29.12.2021	8 200
2022	ერთადერთი აქციონერის გადაწყვეტილება N3 – 01.09.2022	350
2023	ერთადერთი აქციონერის გადაწყვეტილება N2 – 20.04.2023 ერთადერთი აქციონერის გადაწყვეტილება N4 – 10.11.2023	11 000

7. კორპორაციული მართვა

2023 წელს სს „ხრამჭესი 1“-ის სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობის შეჯამებისას უნდა აღინიშნოს, რომ 2023 წელს ჩატარებულ იქნა სამეთვალყურეო საბჭოს 17 დაუსწრებელი კრება, რომლებზეც განხილულ იქნა 36 საკითხი. საანგარიშო პერიოდისთვის შეუსრულებელი გადაწყვეტილებები არ ფიქსირდება.

2023 წელს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებებით განისაზღვრა საზოგადოების საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები - მ.შ. საზოგადოების აქციონერების წლიური საერთო კრების მომზადება და ჩატარება - 2022 წლის შედეგების მიხედვით.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო კომპანიის ბიზნეს გეგმების დამტკიცება 2024-2028 წლებისთვის, მ.შ. საინვესტიციო პროგრამების 2024-2028 წლებისათვის. რეგულარული წესით განიხილებოდა სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშები დავალებების შესრულებისა და კორპორატიული ღონისძიებების გამართვის გეგმის შესახებ; ასევე განხილულ იქნა ანგარიშები საზოგადოების ბიზნესგეგმის შესრულების შედეგების შესახებ. გარდა ამისა, დამტკიცებულ იქნა ლოკალური ნორმატიული აქტები, რომელთა მიზანსაც კომპანიის საქმიანობის დარეგულირება წარმოადგენს. საზოგადოების წესდების შესაბამისად, ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებას ახორციელებს გენერალური დირექტორი. კოლეგიური აღმასრულებელი ორგანო გათვალისწინებული არ არის.

8. საზოგადოების შიდა კონტროლის სისტემის მახასიათებლები

სააქციო საზოგადოებაში ფუნქციონირებს შიდა კონტროლის სისტემა (შკს), რომელიც უზრუნველყოფს:

1. კომპანიის ფინანსური და სამეურნეო საქმიანობის ეფექტურად წარმართვას;
2. დასახული ფინანსური და საოპერაციო მაჩვენებლების მიღწევას;
3. აქტივების დაცულობას;
4. ორგანიზაციის სანდო ბუღალტრული (ფინანსური) და სხვა ანგარიშგებების დროულ მომზადებას.
5. საკანონმდებლო მოთხოვნების, ნორმატიული აქტების, ორგანიზაციის შიდა დოკუმენტებისა და რეგულატორების სხვა დასანერგი მოთხოვნების დაცვას.

სააქციო საზოგადოებას არ აქვს დამტკიცებული შიდა კონტროლის სფეროში მუშაობის მარეგულირებელი დებულება.

შვს მოიცავს სამეთვალყურეო საბჭოს, ერთპიროვნულ აღმასრულებელ ორგანოს გენერალური დირექტორის სახით და ორგანიზაციის თანამშრომლებს. სარევიზიო კომისია არ არის არჩეული და კომპანიას არ აქვს შიდა აუდიტის სამსახური.

9. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

პერსონალის მართვა

ადამიანური კაპიტალის განვითარების სფეროში სს „ხრამჭესი I“-ის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს საანგარიშო პერიოდში მმართველობითი სისტემის ეფექტურობის ამაღლება წარმოადგენდა. კერძოდ:

- პერსონალის განვითარება და ახალგაზრდა სპეციალისტების მოზიდვა;
- თანამშრომლების მომზადების, გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზება;
- თანამშრომლების პროფესიული კარიერის დაგეგმვა და განვითარება;

- პერსონალის მოტივაციის სისტემის გაუმჯობესება;
- სოციალური პარტნიორობის განვითარება;
- კორპორაციული პოლიტიკის როლის გაძლიერება.


საკადრო პოლიტიკა

როგორც წინა წლებში, კომპანიის საკადრო პოლიტიკა კომპანიის მენეჯმენტისა და საწარმოო სტრატეგიის შემადგენელი ნაწილია, რომელიც მიმართულია ძირითადი მიზნების მიღწევასა და კომპანიის წინაშე არსებული ამოცანების გადაწყვეტაზე.


კომპანიის საკადრო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებებია კომპანიის თანამშრომლების უწყვეტი პროფესიული მომზადების დაგეგმვა და განხორციელება, რაც მოიცავს პერსონალის მომზადებას, გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, აგრეთვე თანამშრომლების შრომის დაცვის საკითხებს.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს საშტატო განრიგი სრულადაა დაკომპლექტებული, თანამშრომელთა ფაქტობრივი რაოდენობა 63 ადამიანია.


2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თანამდებობრივი კატეგორიების მიხედვით პერსონალის სტრუქტურა სააქციო საზოგადოებაში შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: მენეჯერები - 7 ადამიანი, სპეციალისტი და ტექნიკური თანამშრომლები - 25 ადამიანი და მუშები - 31 ადამიანი.



კომპანიის თანამშრომელთა თვისობრივი შემადგენლობა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია: უმაღლესი განათლების მქონე თანამშრომლები - 31 ადამიანი, საშუალო ტექნიკური განათლებით - 5 ადამიანი. საშუალო განათლებით - 27 ადამიანი.



კომპანიის პერსონალის ასაკობრივი სტრუქტურა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 30 წლამდე ასაკის (ჩათვლით) - 2 ადამიანი, 31-დან 40 წლამდე ასაკის - 10 ადამიანი, 41-დან 50 წლამდე ასაკის - 13 ადამიანი, 51-დან 60 წლამდე ასაკის - 17 ადამიანი, ხოლო 60 წელზე მეტი ასაკის - 21 ადამიანი. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებულთა საშუალო ასაკი 52 წელია.



სს „ხრამჭესი I“ სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანიად ახდენს საკუთარი თავის პოზიციონირებას. კომპანიისთვის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას კვალიფიციური პერსონალის მოზიდვა და შენარჩუნება წარმოადგენს. კომპანიის მმართველობამ უნდა მიიღოს ზომები ახალი

სპეციალისტების მოსაზიდად და არსებული სპეციალისტების შესანარჩუნებლად. ეს თანამშრომლები, მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის კონკურენტებისათვის მოთხოვნად კადრებს წარმოადგენენ, მზად არიან ასეთ მომორეზულ რაიონში იმუშაონ. ამ მიზნით 2023 წლის 1-ლი ივლისიდან მოხდა ყველა თანამშრომლის ხელფასის ინდექსირება 3.1%-ით.

სადგური მდებარეობს მაღალმთიან ხეობაში, სადგურისა და ჰიდრონაგებობებისკენ მიმავალი გზები კრიტიკულ მდგომარეობაშია, ხოლო საზოგადოებრივი ტრანსპორტი არარეგულარული, ზამთარში სამარშუტო რეისები ხშირად უქმდება. მაღალკვალიფიციური ტექნიკური პერსონალის ძირითადი ნაწილი თბილისში ცხოვრობს. ამ მხრივ, პერსონალის ტრანსპორტირება რთული იყო მრავალი წლის განმავლობაში. ამჟამად ტექნიკური პერსონალი მაღალი გამავლობის მქონე მანქანებითაა უზრუნველყოფილი.

საზოგადოება ყოველწლიურად ატარებს ტრენინგებს ელექტროტექნიკური პერსონალისთვის და ასევე ელექტროაღჭურვილობის ექსპლუატაციის დროს უსაფრთხოების (შრომის დაცვის) წესების, ელექტროაღჭურვილობის ტექნიკური ექსპლუატაციის წესების, სახანძრო უსაფრთხოების და პირველადი სამედიცინო დახმარების წესების ცოდნის შემოწმებას ახდენს. 2023 წელს სს „ხრამჭესი I“-ში 26-მა თანამშრომელმა გაიარა ატესტაცია.

საზოგადოება ყოველწლიურად უზრუნველყოფს თითოეული თანამშრომლის სამედიცინო დაზღვევას. 2023 წელს თანამშრომლების დაზღვევაზე გაწეულმა ხარჯებმა 48 ათასი ლარი შეადგინეს.

სადგურზე ასევე შექმნილია და მოქმედებს სამედიცინო პუნქტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევისთვის საჭირო საშუალებებით.

სტრატეგიული სოციალური პოლიტიკის გარდა, რომლის ფარგლებში საზოგადოება ყველა ღონეს მიმართავს თანამშრომლებისთვის შრომის და ცხოვრების ნორმალური პირობების უზრუნველსაყოფად, საზოგადოება თავისი შესაძლებლობების შესაბამისად ეწევა ქველმოქმედებას, რაც სს „ხრამჭესი I“-ის სოციალური პასუხისმგებლობის ნაწილს წარმოადგენს.

ორგანიზაციის საქველმოქმედო და სპონსორული საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ყოველწლიური დახმარების გაწევა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებული სხვადასხვა ორგანიზაციებისთვის. 2023 წელს დახმარება გაეწია ბედიანის ღვთისმშობლის სახელობის მონასტერს. უსასყიდლო დახმარების გაწევა დადებითად აისახება კომპანიის საზოგადოებრივ სტატუსზე.

10. გარემოს დაცვა

ეკოლოგიური მართვის სისტემა (დანერგვა, ფუნქციონირება, სერტიფიკაცია)

წარმოების საქმიანობის გარემოსდაცვითი ასპექტების მართვის მიზნით, კომპანიის გენერირებად აქტივებში დაინერგა გარემოს მართვის სისტემა (EMS). EMS სერტიფიცირება საერთაშორისო სტანდარტის, ISO 14001-ის მიხედვით პირველად 2015 წელს განხორციელდა. 2021 წელს წარმატებით განხორციელდა გარემოს მართვის სისტემის რესერტიფიკაციის აუდიტი და საზოგადოებას გადაეცა შესაბამისობის სერტიფიკატი ISO 14001: 2015 №1210450707 TMS, რომლის ვადაც 2024 წლის 28 სექტემბერს იწურება. 2023 წელს ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემის ეფექტურობის მეორე ზედამხედველობითი აუდიტი ჩატარდა რომლის ფარგლებშიც მოწვეულ იქნა გარე ორგანიზაცია TUV Austria CERT GmbH და გაცემულ იქნა შესაბამისობის სერტიფიკატი. 2024 წლისთვის დაგეგმილია ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემის ეფექტურობის ზედამხედველობითი აუდიტის განმეორებითი ღონისძიება, რომელშიც გარე ორგანიზაცია იქნება ჩართული.

გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ხარჯები

2023 წელს გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საერთო ხარჯები 246%-ით გაიზარდა და შეადგინა 55 ათასი ლარი. ზემოაღნიშნული ზრდა ძირითადად განპირობებულია საქართველოს გარემოსდაცვითი მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ საზოგადოების შემოწმების შედეგების

საფუძველზე წარმოშობილი სადაო საკითხების გადაწყვეტისათვის სპეციალური კონსულტანტის დაქირავებით.

გარემოს დაცვის ტრადიციულ სფეროებში საინვესტიციო ხარჯები გათვალისწინებული არ იყო.

ბუნების დაცვის ღონისძიებებთან დაკავშირებული მიმდინარე ხარჯები 171%-ითაა გაზრდილი და 13.31 ათას ლარს შეადგენს.

წყლის რესურსების გამოყენება

2022 წელს წყლის რესურსების (ზედაპირული წყლის ობიექტების) მოხმარების საფასურმა 0,22 ათასი ლარი, 2023 წელს კი 0,24 ათასი ლარი შეადგინა.

კომპანიის წყლის მოხმარების მოცულობა 2022-2023 წლებში, მილიონი მ³

მაჩვენებლის დასახელება	2022	2023	% ცვლილება
სულ მოხმარებული წყალი, მათ შორის	266.276	242.670	91%
ზედაპირული წყლის ობიექტებიდან	266.196	242.585	91%
გარე მიმწოდებლებისგან	0.80	0.085	-
მიწისქვეშა წყლის ობიექტებიდან	-	-	-
წყლის განმეორებითი მოხმარების სისტემებიდან	-	-	-
წყლის მიწოდების საბრუნავ სისტემებში გამოყენებული წყლის ბრუტო მოცულობა, %	-	-	-
საბრუნავი და ხელმეორედ გამოყენებული წყლის წილი წყლის მოხმარების საერთო მოცულობაში, %	-	-	-

2023 წელს ზედაპირული წყაროებიდან ამოღებული წყლის მოცულობა 23 მილიონი მ³ -ით შემცირდა, რაც ელექტროენერგიის გამომუშავების შემცირებითაა განპირობებული.

კომპანიის წყალმომარაგების მოცულობა 2022–2023 წლებში, მილიონი მ³

მაჩვენებლის დასახელება	2022	2023	% ცვლილება
წარმოქმნილი ჩამდინარე წყალი სულ:	266.276	242.670	91%
- განსაზღვრულია გარეშე ორგანიზაციებისთვის			
განსაზღვრულია ზედაპირული წყლის ობიექტებისთვის, მ.შ.	266.276	242.670	91%
- ნორმატიულად სუფთა	266.196	242.585	91%
- ნორმატივის შესაბამისად გაწმენდილი	0.080	0.085	-
- არასაკმარისად გაწმენდილი	-	-	-
- დაბინძურებული გაწმენდის გარეშე	-	-	-
ნორმატიულად სუფთა წყლების წილი საერთო სადრენაჟო მოცულობასთან	100%	100%	-

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევისათვის დაწესებული საჯარიმო სანქციები

2022 წელს საქართველოს გარემოსდაცვითი მონიტორინგის დეპარტამენტმა სს „ხრამჭესი 1-ის“ ჰიდროელექტროსადგურის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 26 თებერვლის N2-182 ბრძანებით გამოცემული ბუნებისდაცვითი გადაწყვეტილებით (2009 წლის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N9) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების შესრულების გეგმური შემოწმება განახორციელა. შემოწმების შედეგების საფუძველზე 2023 წელს დაწესდა და გადახდილ იქნა ადმინისტრაციული ჯარიმა 5 ათასი ლარის ოდენობით, მაგრამ საზოგადოების მიერ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების შემდეგ გადახდილი ჯარიმა უკან იქნა დაბრუნებული.

საზოგადოება მუდმივ რეჟმში ახორციელებს ღონისძიებებს საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების მიმართულებით.

საწარმოო ნარჩენებისადმი დამოკიდებულება

სააქციო საზოგადოებამ შეიმუშავა და დაამტკიცა დებულება სს „ხრამჭესი I“ – ის წარმოების და მოხმარების ნარჩენების დროებითი დაგროვების და შეგროვების ორგანიზების შესახებ, ასევე „ინსტრუქცია წარმოების ნარჩენების გატანის წესის შესახებ“. შემუშავებულია ნარჩენების დროებითი დაგროვების სქემები ჰიდროელექტროსადგურის ტერიტორიაზე ნაგვის ურნების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით და შეიქმნა ნარჩენების წარმოქმნისა და გადაადგილების ჟურნალი. საშიში სამრეწველო ნარჩენების დაგროვება ხორციელდება სპეციალურ სერტიფიცირებულ ჭურჭელში.

გაფორმებულია ხელშეკრულებები ორგანიზაციებთან, რომლებსაც საწარმოო და საშიში სამრეწველო ნარჩენები გააქვთ. 2023 წელს გატანილ იქნა 11.617 ტონა ნარჩენი. 2022 წელს ნარჩენების გადამუშავებასთან დაკავშირებულმა ხარჯმა 10.12 ლარი შეადგინა, 2023 წელს კი - 7.08 ათასი ლარი

კომპანიის ნარჩენების წარმოქმნის მოცულობის ცვლილება 2022–2023 წლებში, ტონა

მაჩვენებლის დასახელება	2021	2022	% ცვლილება
წარმოქმნილი ნარჩენები, მათ შორის	11.955	11.617	106%
საფრთხე I კლასი	-	-	-
საფრთხის II კლასი	-	-	-
საფრთხის III კლასი	0.105	0.567	540%
საფრთხე IV კლასი	-	-	-
საფრთხე V კლასი	10.850	10.050	102%

წელის რესურსების ბიომრავალფეროვნების დაცვა

2023 წელ ჰიდრობიონტების მოსპობის პოტენციური რისკის შემცირებისა და აღმოფხვრისათვის აუცილებელი ღონისძიებები არ იყო დაგეგმილი.

11. დამატებითი ინფორმაცია აქციონერებისათვის

საზოგადოების დასახელება: სს „ხრამჰესი I“

იურიდიული სტატუსი: სააქციო საზოგადოება

იურიდიული მისამართი და ფაქტიური ადგილსამყოფელის მისამართი:

საქართველო, წალკის რაიონი, ხრამჰესის დასახლება

რეგისტრაციის თარიღი და ნომერი: 13 დეკემბერი 1996 წ., №68/5-1

საიდენტიფიკაციო ნომერი: 243119727

ოფისი ქ. თბილისში:

ა.აფაქიძის ქ. №7/6

ტელეფონი: (995 32) 233 08 29

ფაქსი: (995 32) 221 29 69

ელექტრონული ფოსტის მისამართი: kguliashvili@khramhesi.ge

ვებ-გვერდი: www.khramhesi.ge

სს „ხრამჰესი I“-ის რეგისტრატორი არის:

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“

მისამართი: საქართველო, 0162, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №74ა

ტელ.: (995 32) 222 53 51

ფაქსი: (995 32) 225 15 60

ლიცენზია №70006

სს „ხრამჭესი I“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით შესრულებულია კომპანია EY LLC-ს მიერ.

იურიდიული მისამართი: საქართველო, 0005 ქ. თბილისი, კოტე აფხაზის ქ. N44

ტელ.: (995 32) 243 93 75

ფაქსი: (995 32) 243 93 76

ვებ.გვერდი: www.ey.com/georgia

სს „ხრამჭესი I“

ფინანსური ანგარიშგება

*2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

სს „ხრამჭესი I“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	9-32

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „ხრამჭესი I“-ის აქციონერებს და სამეთვალყურეო საბჭოს

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „ხრამჭესი I“-ის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) (ბესსს-ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც რელევანტურია საქართველოში ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტისთვის და შესრულებული გვაქვს ამ მოთხოვნებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების მე-17 შენიშვნაზე, რომელშიც აღწერილია დაკავშირებულ მხარეებთან კომპანიის ოპერაციების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებაში მოდიფიცირებული არ არის.

კომპანიის 2023 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია კომპანიის 2023 წლის მმართველობის ანგარიშგებაში, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. კომპანიის 2023 წლის მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი სავარაუდოდ გახდება აუდიტორის წინამდებარე დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას და ჩვენ არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ხელმძღვანელობის და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ გონივრული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.



**Building a better
working world**

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების გონივრულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.



**Building a better
working world**

სამეთვალყურეო საბჭოს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ანა კუსრაშვილი (SARAS-A-169041)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

2024 წლის 2 თებერვალი

თბილისი, საქართველო

სს „ხრამჰესი I“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული			
ხელშეკრულებებიდან	6	4,653	5,243
ცვეთა	9	(2,907)	(2,584)
ხელფასი და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები		(2,175)	(1,888)
დაზღვევა		(630)	(702)
ქონების გადასახადი		(550)	(521)
სარემონტო და ტექმომსახურების ხარჯები		(615)	(229)
პროფესიული მომსახურება		(263)	(245)
ტრანსპორტირების ხარჯები		(191)	(200)
ზარალი ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან	9	(12,950)	-
სხვა საოპერაციო ხარჯები		(782)	(620)
საოპერაციო ზარალი		(16,410)	(1,746)
 ფინანსური დანახარჯები		(41)	(1)
ფინანსური შემოსავალი	7	1,285	1,731
(ზარალი)/შემოსულობა სასესხო მოთხოვნის ხელახალი			
შეფასებიდან	11	(284)	450
(ზარალი)/მოგება დაბეგვრამდე		(15,450)	434
 მოგების გადასახადის (დარიცხვა)/შემობრუნება	8	(1,941)	1,138
წლის წმინდა (ზარალი)/მოგება		(17,391)	1,572
 სხვა სრული შემოსავალი			
მუხლები, რომლების რეკლასიფიცირება არ ხდება			
შემდგომი პერიოდების მოგება-ზარალში			
ძირითადი საშუალებების გადაფასება	9	17,902	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		511	1,572

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა და მისი სახელით ხელი მოეწერა 2024 წლის 2 თებერვალს:

დევი კანდელაკი
გენერალური დირექტორი



ელენა მჭედლიძე
ფინანსური დირექტორი

9-32 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „ხრამჰესი I“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

		2023 წლის შენიშვნა 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	51,014	47,306
აქტივის გამოყენების უფლება		77	96
არამატერიალური აქტივები		12	21
გრძელვადიან აქტივებში გადახდილი ავანსები		199	176
სასესხო მოთხოვნები	11	–	6,033
სულ გრძელვადიანი აქტივები		51,302	53,632
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		508	595
საგადასახადო აქტივები, წმინდა		–	372
სავაჭრო მოთხოვნები	10	637	493
სასესხო მოთხოვნა	11	–	183
გადახდილი ავანსი		244	227
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12	1,500	9,021
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,889	10,891
სულ აქტივები		54,191	64,523
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	13	3,447	3,447
გადაფასების რეზერვი		27,068	10,135
გაუნაწილებელი მოგება		18,549	45,971
სულ საკუთარი კაპიტალი		49,064	59,553
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	14	5,034	4,875
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა		13	–
საიჯარო ვალდებულებების მოკლევადიანი წილი		16	14
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		5,063	4,889
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები		64	81
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		64	81
სულ ვალდებულებები		5,127	4,970
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		54,191	64,523

9-32 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „ხრამჭესი I“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

	სააქციო კაპიტალი	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილე- ბელი მოგება	სულ
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	3,447	10,865	37,219	51,531
წლის წმინდა მოგება	–	–	1,572	1,572
გადაფასების რეზერვის ცვეთა	–	(730)	730	–
გამოცხადებული დივიდენდები (13 შენიშვნა)	–	–	(350)	(350)
დივიდენდების შემობრუნება (მე-13 შენიშვნა)	–	–	6,800	6,800
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	3,447	10,135	45,971	59,553
წლის წმინდა ზარალი	–	–	(17,391)	(17,391)
წლის სხვა სრული შემოსავალი	–	17,902	–	17,902
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	3,447	28,037	28,580	60,064
გადაფასების რეზერვის ცვეთა	–	(969)	969	–
გამოცხადებული დივიდენდები (მე-13 შენიშვნა)	–	–	(11,000)	(11,000)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	3,447	27,068	18,549	49,064

9-32 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „ხრამჭესი I“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

	შენიშვნა	2023	2022
საოპერაციო საქმიანობა			
(ზარალი)/შემოსავალი დაბეგვრამდე		(15,450)	434
<i>არაფულადი კორექტირებები დასაბეგრი მოგების წმინდა ფულად ნაკადებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით</i>			
ცვეთა		2,907	2,584
ამორტიზაცია		9	14
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		–	(34)
ზარალი ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან	9	12,950	–
ზარალი/(შემოსულობა) სასესხო მოთხოვნის ხელახალი შეფასებიდან	11	284	(450)
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობაზე		29	122
ფინანსური დანახარჯები		12	1
საპროცენტო შემოსავალი	7	(1,285)	(1,190)
		(544)	1,481
 საბრუნავ კაპიტალში შესული ცვლილებები			
ცვლილება მარაგებში		87	32
ცვლილება სავაჭრო მოთხოვნებში		(144)	2,487
ცვლილება გადახდილ ავანსებში		(17)	17
ცვლილება საგადასახადო აქტივებში/ვალდებულებებში, წმინდა		385	141
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		159	(703)
		(74)	3,455
 გადახდილი მოგების გადასახადი	8	(1,941)	(62)
(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული)/საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		(2,015)	3,393
 საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითად საშუალებებში გადახდილი თანხები		(1,667)	(4,417)
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		–	34
შემოსულობა სასესხო მოთხოვნიდან		5,832	2,650
მიღებული პროცენტი		1,385	1,787
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		5,550	54
 საფინანსო საქმიანობა			
გადახდილი დივიდენდები	13	(11,000)	(350)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა		(27)	(26)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(11,027)	(376)
 ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ცვლილება		(7,492)	3,071
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	12	9,021	6,072
წმინდა საკურსო სხვაობები ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(29)	(122)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	12	1,500	9,021

2023 წელს მნიშვნელოვან არაფულად ოპერაციებს ადგილი არ ჰქონია (2022 წ.: 6,800 ლარის ოდენობით გამოცხადებული დივიდენდების უარყოფა და დივიდენდებზე დარიცხული 1,138 ლარის მოგების გადასახადის ვალდებულების გაუქმება).

9-32 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „ხრამჭესი I“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

1. კორპორაციული ინფორმაცია

სს „ხრამჭესი I“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოში დაფუძნებული რეზიდენტი სააქციო საზოგადოება. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია ხრამჭესი, წალკის რაიონი.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ელექტროენერგიის წარმოება. მისი ძირითადი საოპერაციო აქტივია საქართველოში, წალკის რაიონში მდებარე ჰიდროელექტროსადგური („ხრამჭესი I“). წარმოებული ელექტროენერგია საქართველოში იყიდება. კომპანიის მთავარი მომხმარებელი არის საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო - შპს „თბილისის ელექტრომომწოდებელი კომპანია“.

კომპანიას „ხრამჭესი I“-სთვის მიღებული აქვს ელექტროენერგიის გამომუშავების ლიცენზია, რომელსაც ვადა 2024 წლის 24 დეკემბერს ეწურება. 2024 წლის განმავლობაში კომპანია მარეგულირებელს - „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას“ („სემეკი“) წარუდგენს განაცხადს ახალი ლიცენზიის გაცემაზე, სემეკის 2020 წლის 27 მაისით დათარიღებული №22 დადგენილების შესაბამისად. ახალ ლიცენზიას განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადა ექნება.

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-ის მფლობელი იყო „გარდაბანი ჰოლდინგი ბივი“ (შემდგომში „მშობელი საწარმო“). მშობელი საწარმოს კონტროლს ახორციელებს ღია სააქციო საზოგადოება „ინტერ რაო ეეს“ (საბოლოო მშობელი საწარმო). ღია სააქციო საზოგადოება „ინტერ რაოს“ მაკონტროლებელი ქვეყანაა რუსეთის ფედერაცია.

როგორც მე-17 შენიშვნაშია აღნიშნული, კომპანია საოპერაციო საქმიანობის ძირითად ნაწილს საბოლოო მშობელი საწარმოს საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებთან აწარმოებს.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ დამტკიცებულა აქციონერის მიერ. აქციონერთა კრება ჩვეულებრივ საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის პირველ ნახევარში ტარდება. აქციონერს აქვს იურიდიული უფლება შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

2. მომზადების საფუძველი

კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა იმ ძირითადი საშუალებებისა, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით გადაფასების მოდელის ფარგლებში.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ათას ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში. ახლად გამოცემულ სტანდარტებს არსებითი გავლენა არ ჰქონიათ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(ა) უცხოური ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას.

(ბ) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

(i) ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივების ისეთი ყიდვა-გაყიდვა, როდესაც საჭიროა მათი ჩაბარება ნორმატიული აქტებით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (გარიგების სტანდარტული პროცედურა) გათვალისწინებულ ვადაში, აღირიცხება გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანია იღებს აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულებას.

(ii) სამართლიანი ღირებულების შეფასება

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებს და არაფინანსურ აქტივებს, მაგალითად ძირითად საშუალებებს, აფასებს სამართლიანი ღირებულებით საბალანსო უწყისის ყოველი თარიღისთვის.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, და რომლებშიც მაქსიმალურად გამოიყენება საბაზრო და მინიმალურად - არასაბაზრომონაცემები.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემების საფუძველზე, რომელიც მთლიანობაში მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას:

- ▶ 1-ლი დონე – იდენტური აქტივების ან ვალდებულებების კოტირებული (დაუკორექტირებელი) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზარზე;
- ▶ მე-2 დონე - შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- ▶ მე-3 დონე - შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ბ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების იერარქიის ერთი დონიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კომპანია განსაზღვრავს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ განმარტებითი შენიშვნის მიზნებისთვის, კომპანიამ აქტივების და ვალდებულებების კლასი განსაზღვრა აქტივის ან ვალდებულების ხასიათის, თვისებებისა და რისკების ან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად, სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონის მიხედვით.

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ანალიზი და დამატებითი დეტალები მათი შეფასების მეთოდების შესახებ მოცემულია მე-15 შენიშვნაში.

(გ) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გადაფასების თარიღის შემდეგ აღიარებული გაუფასურების ზარალი. შეფასება ხდება საკმარისი სიხშირით, რომ გადაფასებული აქტივის სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი საბალანსო ღირებულებისგან.

თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. კომპანიის მიერ შექმნილი აქტივის თვითღირებულება მოიცავს მასალისა და შრომის პირდაპირ დანახარჯებს და ყველა სხვა ხარჯს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება აქტივის დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის შესაბამის მდგომარეობაში მოსაყვანად, დემონტაჟის და მოხსნის ხარჯებს, ასევე იმ ტერიტორიის რეაბილიტაციის ხარჯებს, რომლებზეც ეს აქტივები მდებარეობს და ნახესხებ სახსრებთან დაკავშირებულ დანახარჯებს. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აუცილებელია შესაბამისი აღჭურვილობის ფუნქციონირებისთვის, კაპიტალიზდება როგორც ამ აღჭურვილობის განუყოფელი ნაწილი.

თუ ძირითადი საშუალებების ერთეულებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადა აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალებების ცალკე ერთეულებად (ძირითად კომპონენტებად).

გადაფასების ყოველგვარი ნამეტის აღიარება ხდება სხვა სრულ შემოსავალში და ერიცხება კაპიტალს ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის ნაწილში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი შეაბრუნებს ამავე აქტივის გადაფასების შედეგად შემცირებულ ღირებულებას, რომელიც მანამდე ხარჯად იყო აღიარებული, რა შემთხვევაშიც ზრდა აღიარდება გადაფასების შედეგად მიღებულ შემოსულობად. გადაფასების დეფიციტის აღიარება ხდება ხარჯის სახით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი გაქვითავს ამავე აქტივზე არსებულ ნამეტს, რაც აღიარებულია ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(გ) ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

აქტივების გადაფასების რეზერვიდან წლიური გადატანა გაუნაწილებელ მოგებაზე ხდება აქტივის გადაფასებული საბალანსო ღირებულების ცვეთასა და აქტივის თავდაპირველი თვითღირებულების ცვეთას შორის სხვაობით. გარდა ამისა, გადაფასების თარიღისთვის დაგროვილი ცვეთა ჩამოიწერება აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან და წმინდა ღირებულების გადაანგარიშება ხდება აქტივის გადაფასებულ ღირებულებამდე. გაყიდვისას კონკრეტულ აქტივთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაფასების რეზერვი გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაზე. ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადაზე.

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლის თვითღირებულების აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს ამ ნაწილის თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ მისი თვითღირებულების სარწმუნოდ შეფასება შეიძლება. შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ტექნიკური მომსახურების ყოველდღიური ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მისი გაწვევისთანავე.

(iii) ცვეთა

ცვეთის აღიარება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადაზე წრფივი მეთოდით, რადგანაც ეს ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვს, მისი ცვეთა განცალკევებით ხორციელდება. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულება ყოველი ფინანსური წლის დასასრულს გადაისინჯება და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად კორექტირდება.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(გ) ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

მიმდინარე პერიოდებისთვის სასარგებლო მომსახურების ვადებია:

შენობა-ნაგებობები და ობიექტები	40 წლამდე
ძირითადი საშუალებები	2-34 წელი
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	2-10 წელი
სხვა	2-7 წელი

(დ) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე წარმოების თვითღირებულებას და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

(ე) ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

კომპანია ელექტროენერგიის გამომუშავების საქმიანობას ეწევა. წარმოებული ელექტროენერგია იყიდება ელექტროენერგიის გამანაწილებელ კომპანიაზე, რომელიც საბოლოო მშობელი საწარმოს საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოა, და ასევე პირდაპირ მესამე მხარეებზე. ელექტროენერგია იყიდება ცალკეული ხელშეკრულებების ფარგლებში და ელექტროენერგიის გაყიდვა ერთადერთ შესასრულებელ ვალდებულებას წარმოადგენს. შესასრულებელი ვალდებულება დაკმაყოფილებულია და ამონაგები აღიარდება ისეთ დროს, როდესაც აქტივზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს, რაც აქტივის მიწოდების მომენტში ხდება.

კომპანია იყენებს პრაქტიკულ მიდგომას მნიშვნელოვანი ფინანსური კომპონენტის არსებობასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს, რომ ანაზღაურების დაპირებული თანხა არ კორექტირდება დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტის ეფექტის შესაბამისად, თუ პერიოდი დაპირებული საქონლის გადაცემიდან ღირებულების გადახდამდე ერთი წელი ან ნაკლები იქნება.

ამონაგები ელექტროენერგიის გაყიდვიდან გამოითვლება ყოველთვიურად მომხმარებლებისთვის მიყიდული ელექტროენერგიის ოდენობის საფუძველზე, რომელიც განისაზღვრება საქართველოს მაღალი ძაბვის ელექტროქსელის ოპერატორის - „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ გაცემული ელექტროენერგიის მიღება-ჩაბარების აქტით და მომხმარებლებთან შეთანხმებით.

ელექტროენერგიის ტარიფებს საქართველოში არეგულირებს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი). საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 31 ოქტომბრის ბრძანებით, მგვტ/სთ ტარიფი განისაზღვრა 0,023 ლარის ოდენობით 2022 წლის 1 იანვრიდან და ეს ტარიფი 2025 წლის 31 დეკემბრამდე გამოიყენება.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ვ) გადასახადები

(i) მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში (მე-8 შენიშვნა). მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც მოხდება დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო ვალდებულებებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებზე დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია საკუთარი კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, მოგებაში ან ზარალში, როგორც სხვა საოპერაციო ხარჯებში შემავალი სხვა გადასახადები.

(ზ) ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები

რამდენიმე ცვლილება და ინტერპრეტაცია პირველად იქნა გამოყენებული 2023 წელს, თუმცა მათ არ ჰქონია გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ▶ ფასს (IFRS) 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები - იძლევა სრულფასოვან სააღრიცხვო მოდელს სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის;
- ▶ სააღრიცხვო შეფასებების განმარტება - ბასს (IAS) 8-ის ცვლილება - განმარტავს სხვაობას სააღრიცხვო შეფასების ცვლილებასა და სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებებს შორის, ასევე ხარვეზების გამოსწორებას. ამასთან, ცვლილებაში მოცემულია როგორ იყენებენ საწარმოები შეფასების ტექნიკას და ამოსავალ მონაცემებს სააღრიცხვო შეფასებების განსახორციელებლად;
- ▶ ერთი გარიგებიდან წარმომდგარ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი - ბასს (IAS) 12-ის ცვლილება - ცვლილების მიზანია საწყისი აღიარების გამონაკლისის ფარგლების შეზღუდვა, ის აღარ ვრცელდება ოპერაციებზე, რომლებიც წარმოშობს თანაბარ დასაბეგრ და დასაქვით დროებით სხვაობებს, მაგალითად იჯარებს და ექსპლუატაციიდან ამოღებით წარმოქმნილ ვალდებულებებს;

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ზ) ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები (გაგრძელება)

- ▶ საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა – პილარ 2-ის სანიმუშო წესები - ბასს (IAS) 12-ის ცვლილება – რომლებიც დაინერგა ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის (ეთგო) დასაბეგრი ბაზის შემცირების და მოგების გადატანის (BEPS) პრაქტიკასთან დაკავშირებული პილარ ორის წესების პასუხად და მოიცავს სავალდებულო დროებით გამონაკლისს პილარ ორის სანიმუშო წესების იურისდიქციული დანერგვის შედეგად წარმოშობილი გადავადებული გადასახადების აღიარებიდან და გაცხადებიდან; და ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნებს შესაბამისი საწარმოებისგან, რათა დაეხმაროს ფინანსური ანგარიშგებით მოსარგებლებებს, რომ უკეთ გაიგონ ამ კანონმდებლობის შედეგად წარმოშობილი პილარ 2-ის მიხედვით მოგების გადასახადების შესახებ საწარმოს განმარტებითი შენიშვნები; განსაკუთრებით მის ძალაში შესვლის თარიღამდე;

ქვემოთ მოცემულ ცვლილებას გავლენა აქვს კომპანიის მიერ სააღრიცხვო პოლიტიკის გაცხადებაზე და არა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში რომელიმე მუხლის შეფასებაზე, აღიარებაზე ან წარდგენაზე.

- ▶ სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნები – ცვლილება ბასს 1-ში და ფასს-ის მე-2 პრაქტიკულ რეკომენდაციაში – შესწორებების მიზანია საწარმოებს დაეხმაროს სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ უფრო სასარგებლო განმარტებით შენიშვნების წარმოდგენაში, რისთვისაც, საწარმოებისადმი მოთხოვნა, რომ განაცხადონ „მნიშვნელოვანი“ სააღრიცხვო პოლიტიკა, ჩანაცვლდა მოთხოვნით, რომ განაცხადონ თავიანთი „არსებითი“ სააღრიცხვო პოლიტიკა და დაემატა ინსტრუქცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გამოიყენონ საწარმოებმა არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის წარმოდგენასთან დაკავშირებით.

4. შეფასებების, განსჯის და დაშვებების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღისთვის ამონაგების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე. თუმცა ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. შეფასებების, განსჯის და დაშვებების გამოყენება (გაგრძელება)

(ა) მოსაზრებები

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში ხელმძღვანელობის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, რომლებიც ყველაზე მეტად მოქმედებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე:

(i) ძირითადი საშუალებების სამართლიანი შეფასების სიხშირე

კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება თავისი ძირითადი საშუალებების აღრიცხვისთვის გამოიყენოს გადაფასების პოლიტიკა. ბასს (IAS) 16-ის „ძირითადი საშუალებები“ მიხედვით, ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია ისეთი სიხშირით გადააფასოს ძირითადი საშუალებები, რომ საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისგან, რომელიც განისაზღვრება სამართლიანი ღირებულების გამოყენებით საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღისთვის.

ძირითადი საშუალებები ბოლოს 2023 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით გადაფასდა და აისახა ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (მე-9 შენიშვნა).

(ბ) შეფასებები და დაშვებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები და ასევე სხვა შეფასების განუსაზღვრელობა საანგარიშგებო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს.

თუმცა არსებული გარემოებები და მომავალ მოვლენებთან დაკავშირებული დაშვებები შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

(i) ძირითადი საშუალებების გადაფასება

2023 წლის 30 სექტემბერს დამოუკიდებელმა შემფასებელმა შპს „ბიდიო ქონსალთინგმა“ განსაზღვრა კომპანიის ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება. ეს შემფასებელი არის ამგვარი ტიპის ძირითადი საშუალებების შეფასების სპეციალისტი.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. შეფასებების, განსჯის და დაშვებების გამოყენება (გაგრძელება)

(ბ) შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

კომპანიის ძირითადი საშუალებების უმრავლესობა სპეციფიკური ხასიათის არის და იშვიათად იყიდება ღია ბაზარზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იყიდება მიმდინარე ბიზნესის ნაწილის სახით. საქართველოში არ არსებობს მსგავსი ძირითადი საშუალებებისთვის მოქმედი ბაზარი და შესაბამისად, არ არსებობს საკმარისი მტკიცებულება იმისთვის, რომ მოხდეს ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულების დადგენა საბაზრო ფასებზე დამყარებული მიდგომით. შესაბამისად, ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება ძირითადად განისაზღვრა შეფასების ამორტიზირებული ჩანაცვლების დანახარჯების მეთოდით, გარდა მიწის მცირე ნაწილისა და ძირითადი საშუალებების სხვა ერთეულებისა, რომლებიც ბაზრის ოპერაციების საფუძველზე შეფასდა.

ამორტიზირებული ჩანაცვლების დანახარჯების მეთოდი ითვალისწინებს ძირითადი საშუალების შექმნის ან ჩანაცვლების ღირებულებას, რომელიც კორექტირდება ფიზიკური, ფუნქციონალური და ეკონომიკური ცვეთის და დაძველების მიხედვით. ამორტიზირებული ჩანაცვლების დანახარჯები შეფასდა შიდა წყაროებისა და მსგავსი ძირითადი საშუალებებისთვის ქართული და საერთაშორისო ბაზრების ანალიზის საფუძველზე. ამორტიზირებული ჩანაცვლების დანახარჯების განსაზღვრის გარდა, ჩატარდა ფულადი ნაკადების მახასიათებლების ტესტირება, მიღებული თანხების მართებულობის შესაფასებლად. ფულადი ნაკადების ტესტირებაზე დაფუძნებული მაჩვენებელი აღემატება ამორტიზირებული ჩანაცვლების დანახარჯის მეთოდით განსაზღვრულს და შესაბამისად ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა ამორტიზირებული ჩანაცვლების დანახარჯის მეთოდით. თუმცა ორივე მეთოდში გამოყენებული მნიშვნელოვანი დაშვებები აღწერილია ქვემოთ, რომლებიც მოიცავს ფულადი ნაკადების ტესტირებაში გამოყენებული დაშვებების ცვლილების მგრძნობელობას, რომელიც შესაძლოა გახდეს ამორტიზირებული ჩანაცვლების დანახარჯებზე ნაკლები სამართლიანი ღირებულების მიღების მიზეზი. .

ამორტიზირებული ჩანაცვლების დანახარჯი დაანგარიშებაში გამოყენებული მნიშვნელოვანი დაშვებები

ამორტიზირებული ჩანაცვლების დანახარჯებში გამოყენებული მნიშვნელოვანი დაშვება არის 1 მეგავატი ჰიდრო-ელექტრო სიმძლავრის ჩანაცვლების ხარჯი. 1 მეგავატი სიმძლავრის ამორტიზირებული ჩანაცვლების დანახარჯი განისაზღვრა 416 ლარით.

მგრძნობელობა დაშვების ცვლილების მიმართ

ჰიდროელექტრო სადგურის 1 მეგავატი სიმძლავრის ამორტიზირებული ჩანაცვლების დანახარჯის 1%-იანი ზრდა გამოიწვევს ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულების 1%-ით ზრდას.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. შეფასებების, განსჯის და დაშვებების გამოყენება (გაგრძელება)

გამოყენების ღირებულების დაანგარიშებაში გამოყენებული მნიშვნელოვანი დაშვებები

ფულადი ნაკადების ტესტირებაში გამოყენებული მნიშვნელოვანი დაშვებები.

- ▶ ფულადი ნაკადების პროგნოზი გაკეთდა შეფასების თარიღის მდგომარეობით ფაქტობრივი საოპერაციო საქმიანობის შედეგების და ბიზნეს-გეგმის საფუძველზე.
- ▶ ფულადი ნაკადების მახასიათებლების ტესტირების მიზნებისთვის ხელმძღვანელობამ ძირითადი საშუალებები განიხილა ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთ ერთეულად, რადგან ისინი ურთიერთდამოკიდებულია და გამავალი ფულადი ნაკადების დიდი ნაწილის გონივრული მიკუთვნება ძირითადი საშუალებების ამა თუ იმ ერთეულისთვის შეუძლებელია.
- ▶ 2024-2027 წლებში (შესაბამისად) დაგეგმილია 216,000 მგვტ/სთ ელექტროენერგიის გამომუშავება. ეს არის ბოლო 15 წლის საშუალო ფაქტობრივი გამომუშავებული რაოდენობა.
- ▶ 2023-2025, 2026 და 2027 წლებში ელექტროენერგიის გასაყიდი ფასი 1 კვტ/სთ-ზე შესაბამისად განისაზღვრა 0.023 ლარის, 0.143 ლარის და 0.147 ლარის ოდენობით. 2023 წლის ოქტომბრიდან 2025 წლის ბოლომდე გასაყიდი ფასი სემეკის 2017 წლის 31 ოქტომბრის ბრძანების (მე-3 შენიშვნა) საფუძველზე განისაზღვრა. იმის გათვალისწინებით, რომ 2027 წლიდან ჰიდროელექტრო სადგურის ტარიფი აღარ იქნება მთავრობის მიერ რეგულირებადი, ღია ბაზრის ტარიფი 2027 წლიდან შეფასდა. 2026 წლის ტარიფი სემეკის ტარიფების დადგენის საერთო მეთოდოლოგიის გამოყენებით განისაზღვრა.
- ▶ ძირითადი საშუალებების ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრაში გამოყენებულია 16,21%-იანი დისკონტირების განაკვეთი. დისკონტირების განაკვეთი შეფასდა დარგის კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე.
- ▶ 4,25 წლის შემდეგ (საპროგნოზო პერიოდი) მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საბოლოო ღირებულება განისაზღვრა განუსაზღვრელი უვადო ანუიტეტის დისკონტირების მეთოდით. საბოლოო ღირებულების გამოსათვლელად დაშვებული იქნა 3%-იანი გრძელვადიანი ზრდის ტემპი. მნიშვნელოვან დაშვებებზე დამყარებული რიცხვები ეფუძნება შემფასებლის მიერ საქმიანობის მომავალი ტენდენციების საუკეთესო შეფასებას და გარე და შიდა წყაროებიდან მიღებულ მონაცემებს, რომლებიც იმ მომენტისთვის ხელმძღვანელობისთვის იყო ხელმისაწვდომი.

ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულების გამოთვლა უფრო მგრძნობიარეა შემდეგი დაშვებების მიმართ:

- ▶ დისკონტირების განაკვეთი;
- ▶ დისკონტირების ფაქტორი;
- ▶ სარეალიზაციო ფასი.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. შეფასებების, განსჯის და დაშვებების გამოყენება (გაგრძელება)

გამოყენების ღირებულების დაანგარიშებაში გამოყენებული მნიშვნელოვანი დაშვებები (გაგრძელება)

დისკონტირების განაკვეთი

დისკონტირების განაკვეთი ასახავს ფულის დროით ღირებულებასთან მიმართებაში შესაბამისი აქტივისთვის დამახასიათებელი რისკების მიმდინარე საბაზრო შეფასებას. იგი ასევე მოიცავს შესაბამისი ფულადი ნაკადების ინდივიდუალურ რისკებს, რომლებიც არ არის ასახული სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებაში. დისკონტირების განაკვეთის გამოსათვლელად გამოყენებულია კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება. WACC ითვალისწინებს როგორც მოზიდულ, ისე საკუთარ კაპიტალს. კაპიტალის ღირებულება მიიღება ინვესტიციების ინვესტიციებზე მოსალოდნელი უკუგების კოეფიციენტიდან. მოზიდული კაპიტალის ღირებულება ეყრდნობა შედარებადი რისკებისა და ვადების მქონე პროცენტიან ნასესხებ სახსრებს.

დისკონტირების ფაქტორი საპროგნოზო პერიოდში

დისკონტირების ფაქტორი არის ფულად ნაკადებზე გამრავლებული ციფრი, მათი დღევანდელ ღირებულებამდე დასაყვანად. დისკონტირების ფაქტორი განისაზღვრება კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების დაანგარიშებით და ფულადი ნაკადების პერიოდების რაოდენობით. შემფასებლის მიერ გამოყენებული დისკონტირების ფაქტორი საპროგნოზო პერიოდში შეადგენს 0,57-ს. ქვემოთ მოცემულია ტესტირების და ეკონომიკური მოძველების შედეგების მგრძნობელობა ამ დაშვებაზე.

სარეალიზაციო ფასი

სარეალიზაციო ფასი წარმოადგენს კომპანიის მიერ ერთი კვტ/სთ ელექტროენერგიისთვის დაწესებულ გასაყიდ ფასს. 2023-2025 წლების პერიოდისთვის გასაყიდი ფასი ეფუძნება პერიოდის განმავლობაში მოქმედ ტარიფებს. 2026 წლის გასაყიდი ფასი განისაზღვრება სემეკის ტარიფების განსაზღვრის ზოგადი მეთოდოლოგიის საფუძველზე. 2027 წლის გასაყიდი ფასი ეფუძნება მოლოდინს იმისა, რომ შეწყდება ტარიფის რეგულირება სახელმწიფოს მხრიდან და კომპანია განახორციელებს გაყიდვებს საბაზრო ფასებით ღია ბაზარზე.

მგრძნობელობა დაშვების ცვლილების მიმართ

ზემოთ ნახსენები შეფასებები კონკრეტულად მგრძნობიარეა შემდეგი ფაქტორების მიმართ:

- ▶ საპროგნოზო პერიოდის დისკონტირების ფაქტორის 7%-ით კლება ძირითადი საშუალებების ანაზღაურებად ღირებულებას 6,8%-ით (5,517 ლარი) შეამცირებდა.
- ▶ გამოყენებულ დისკონტირების განაკვეთში 1%-იანი კლება გამოიწვევს ძირითადი საშუალების ანაზღაურებადი ღირებულების 11,3%-ით (9,206 ლარი) ზრდას.
- ▶ გამოყენებულ დისკონტირების განაკვეთში 1%-იანი ზრდა გამოიწვევს ძირითადი საშუალების ანაზღაურებადი ღირებულების 9,6%-ით (7,839 ლარი) კლებას.

სს „ხრამპესი I“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. შეფასებების, განსჯის და დაშვებების გამოყენება (გაგრძელება)

მგრძნობელობა დაშვების ცვლილების მიმართ (გაგრძელება)

- ▶ 2027 წლის შესაძლო გასაყიდი ფასის 5%-იანი კლება გამოიწვევს ძირითადი საშუალებების ანაზღაურებადი ღირებულების 8,0%-ით (6,517 ლარი) კლებას.
- ▶ 2027 წლის შესაძლო გასაყიდი ფასის 5%-იანი ზრდა გამოიწვევს ძირითადი საშუალებების ანაზღაურებადი ღირებულების 8,0%-ით (6,517 ლარი) ზრდას.
- ▶ 2027 წლის გასაყიდი ფასის 23%-ით შემცირება ძირითადი საშუალებების ამორტიზებული ჩანაცვლების დანახარჯს გამოყენების ღირებულებას გაუტოლებს.

5. სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ქვემოთ ჩამოთვლილია სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში არ არის შესული კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის. კომპანია არ მოელოა, რომ ამ სტანდარტების და ცვლილებების გამოყენებას არსებითი გავლენა ექნება მის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ▶ ფასს (IFRS) 16-ის ცვლილება: საიჯარო ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან)
- ▶ ბასს (IAS) 1-ის ცვლილება: ვალდებულებების მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიცირება (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან)
- ▶ მომწოდებლის ფინანსური შეთანხმებები - ბასს (IAS) 7-ის და ფასს (IFRS) 7-ის ცვლილება - (ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს და ამ თარიღის შემდგომ პერიოდებში)

6. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების უმრავლესობა უკავშირდება ამონაგებს ელექტროენერგიის გაყიდვიდან. ამონაგების გამომუშავება საქართველოში ხდება. მომხმარებლების მიხედვით ამონაგები ასე გამოიყურება:

	2023	2022
ამონაგები საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებზე გაყიდვებიდან (მე-17 შენიშვნა)	3,434	4,634
ამონაგები მესამე მხარეებზე გაყიდვებიდან	1,219	492
სხვა ამონაგები	–	117
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	4,653	5,243

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სახელშეკრულებო ვალდებულებები არ არსებობდა. ინფორმაციები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი აქტივების შესახებ მოცემულია მე-10 შენიშვნაში.

სს „ხრამჭესი I“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

7. ფინანსური შემოსავალი

	2023	2022
საპროცენტო შემოსავალი საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს სესხებზე (მე-11 და მე-17 შენიშვნები)	356	857
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა	–	541
საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანაზრებზე და მიმდინარე ანგარიშებზე (მე-12 შენიშვნა)	929	333
მთლიანი ფინანსური შემოსავალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით	1,285	1,731

საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა და ზარალი მეტწილად წარმოიშობა კომპანიის აშშ დოლარში გამოხატული აქტივების და ვალდებულებების გადაფასებით. დამატებითი ინფორმაცია სავალუტო რისკის შესახებ იხილეთ მე-15 შენიშვნაში.

8. მოგების გადასახადი

საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილების ძალაში შესვლის შემდეგ (მე-3 შენიშვნა) 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ მთლიანად შემოაბრუნა თავისი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ბასს (IAS) 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ შესაბამისად, რათა გადავადებული გადასახადები შეაფასოს 0%-იანი საგადასახადო განაკვეთით, რომელიც მოქმედებს გაუნაწილებელ მოგებაზე 2017 წლის 1 იანვრიდან.

2023 წელს კომპანიამ აღიარა 1,941 ლარი განაწილებულ მოგებაზე მოგების გადასახადის სახით (მე-13 შენიშვნა), რომელიც წარმოადგენს გამოცხადებული დივიდენდების თანხაზე კანონით დადგენილი საგადასახადო განაკვეთს (15/85).

2022 წელს 1,138 ლარის მოგების გადასახადის გაუქმება წარმოადგენს 1,200 ლარის დარიცხვის გაუქმებას (გამოცხადებული 6,800 ლარის დივიდენდები გაუქმდა) და 62 ლარის (350 ლარის დივიდენდები გამოცხადა და მოხდა მათი გადახდა) დარიცხვის ეფექტს.

სს „ხრამჰესი I“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

9. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მოძრაობა ასეთი იყო:

	მიწა	შენობა- ნაგებო- ბები და ობიექ- ტები	მანქანა- მოწყობი- ლობები	ავტოსატ- რანსპორ- ტო საშუა- ლებები	დაუმთავ- რებელი მშენებ- ლობა	სხვა	სულ
თვითღირებულება და გადაფასებული ღირებულება							
2021 წლის 31 დეკემბერს	586	18,784	21,855	819	4,574	331	46,949
შესყიდვები	–	–	66	110	5,566	64	5,806
გასვლა/ჩამოწერა	–	–	(5)	(111)	–	(1)	(117)
გადატანები	–	–	3,538	–	(3,538)	–	–
2022 წლის 31 დეკემბერს	586	18,784	25,454	818	6,602	394	52,638
შესყიდვები	–	–	288	–	1,352	4	1,644
გასვლა/ჩამოწერა	–	–	–	–	–	1	1
გადატანები	–	–	6,587	–	(6,587)	–	–
სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული აფასება	2,248	15,803	4,909	257	1	21	23,239
სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული ჩამოფასება	(10)	(2,691)	(2,618)	–	–	(18)	(5,337)
მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში აღიარებული აფასება	–	511	3,199	–	–	–	3,710
მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში აღიარებული ჩამოფასება	–	(4,499)	(12,142)	–	–	(19)	(16,660)
გადაფასებისას დაგროვილი ცვეთის ელიმინირება	–	(2,187)	(4,728)	(342)	–	(155)	(7,412)
2023 წლის 31 დეკემბერს	2,824	25,721	20,949	733	1,368	228	51,823
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება							
2021 წლის 31 დეკემბერს	–	(912)	(1,628)	(281)	–	(63)	(2,884)
გასვლა/ჩამოწერა	–	–	5	111	–	1	117
ცვეთა წლის განმავლობაში	–	(729)	(1,682)	(101)	–	(53)	(2,565)
2022 წლის 31 დეკემბერს	–	(1,641)	(3,305)	(271)	–	(115)	(5,332)
გასვლა/ჩამოწერა	–	–	–	–	–	1	1
გადაფასებისას დაგროვილი ცვეთის ელიმინირება	–	2,187	4,728	342	–	155	7,412
ცვეთა წლის განმავლობაში	–	(802)	(1,934)	(98)	–	(56)	(2,890)
2023 წლის 31 დეკემბერს	–	(256)	(511)	(27)	–	(15)	(809)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2021 წლის 31 დეკემბერს	586	17,872	20,227	538	4,574	268	44,065
2022 წლის 31 დეკემბერს	586	17,143	22,149	547	6,602	279	47,306
2023 წლის 31 დეკემბერს	2,824	25,465	20,438	706	1,368	213	51,014

სს „ხრამჰესი I“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

10. სავაჭრო მოთხოვნები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს მიმართ (მე-17 შენიშვნა)	636	491
სავაჭრო მოთხოვნები სხვა მომხმარებლების მიმართ	1	2
	637	493

სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხებათ და მათი ვადა, როგორც წესი, 30 დღეა. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნების ვადაგადაცილებას ადგილი არ ჰქონია, ხოლო არსებული ნაშთები სრულად უკავშირდება დეკემბრის გაყიდვებს. სავაჭრო მოთხოვნების რეზერვის შესაფასებლად კომპანია პროგნოზირებულ მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს იყენებს. ამ მეთოდის გამოყენებით, 2023 წლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებითია და რეზერვი არ აღიარებულა.

11. სასესხო მოთხოვნა

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სასესხო მოთხოვნა 1 იანვრის მდგომარეობით	6,216	9,013
მიღებული ძირითადი თანხა	(5,832)	(2,650)
მიღებული პროცენტი	(456)	(1,454)
ფინანსური შემოსავალი (მე-7 შენიშვნა)	356	857
(ზარალი)/შემოსულობა სასესხო მოთხოვნის ხელახალი შეფასებიდან	(284)	450
სასესხო მოთხოვნა 31 დეკემბრის მდგომარეობით	–	6,216
მოკლევადიანი	–	183
გრძელვადიანი	–	6,033

2021 წლის 1 მარტს 6,331 ლარის ოდენობით სავაჭრო მოთხოვნები საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს მიმართ ლარში გამოხატულ პროცენტიან სესხად გარდაიქმნა, რომლის დაფარვის წელი იყო 2024, და ერიცხებოდა წლიური 10%. 2022 წლის განმავლობაში საპროცენტო განაკვეთი 14%-ით შეიცვალა და შედეგად აღიარდა ხელახალი შეფასებით მიღებული შემოსულობა სესხის მოდიფიცირებაზე 450 ლარის ოდენობით. 2023 წელს სასესხო ვალდებულება მთლიანად წინსწრებით დაიფარა და შედეგად აღიარდა ხელახალი შეფასებით მიღებული ზარალი 284 ლარის ოდენობით.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სასესხო მოთხოვნის რეზერვის შესაფასებლად კომპანიამ პროგნოზირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდი გამოიყენა. ამ მეთოდის ფარგლებში განსჯის საფუძველზე, კომპანიამ შეაფასა, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებითი იყო, შესაბამისად 2022 წელს საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს მიმართ სასესხო მოთხოვნისთვის რეზერვი არ აღიარებულა.

სს „ხრამჭესი I“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

12. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში	1,500	9,021

2023 წელს ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე დარიცხულმა პროცენტმა 929 ლარი (2022 წ.: 333 ლარი) შეადგინა.

ბანკში ნაღდი ფულის ნაშთს წლიური პროცენტი ერიცხება საბანკო ანაბრის შეთანხმებული განაკვეთით.

13. საკუთარი კაპიტალი

(ა) გამოშვებული კაპიტალი

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰქონდა ავტორიზებული და გამოშვებული 3,447,238 აქცია, თითოეულის ფასით 0,001 ლარი. 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ამ აქციების 100%-ის მფლობელია „გარდაბანი ჰოლდინგი ზივი“.

(ბ) დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიას შეუძლია დივიდენდების გამოცხადება თავისი წმინდა მოგებიდან. 2023 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოაცხადა და სრულად გადაიხადა 11,000 ლარის დივიდენდები. 2022 წლის განმავლობაში 2022 წლამდე გამოცხადებული 6,800 ლარის დივიდენდები გაუქმდა და 350 ლარის დივიდენდები გამოცხადდა და მოხდა მათი გადახდა.

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულება

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
დაკავშირებული მხარისთვის გადასახდელი მართვის მომსახურების გასამრჯელო (მე-17 შენიშვნა)	3,504	3,521
დაკავშირებული მხარისთვის გადასახდელი ტექნიკური მომსახურების გასამრჯელო (მე-17 შენიშვნა)	1,003	1,007
სავაჭრო ვალდებულება მომწოდებლების მიმართ	143	33
სხვა ვალდებულება	384	314
	5,034	4,875

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულება (გაგრძელება)

ზემოხსენებული ფინანსური ვალდებულებების პირობები

- ▶ მომწოდებლების მიმართ სავაჭრო ვალდებულება უპროცენტოა და, ჩვეულებრივ, 30 დღეში იფარება;
- ▶ ვალდებულება დაკავშირებული მხარეების მიმართ გამოწვეულია 2011 წლამდე შესრულებული გარიგებებით, რომლებიც არის ვადაგადაცილებული, მაგრამ გადაუხდელი, რადგან დაკავშირებულ მხარეს არ მოუთხოვია მისი დაფარვა;
- ▶ სავაჭრო ვალდებულება მომწოდებლების მიმართ და სხვა ვალდებულებები ძირითადად აშშ დოლარშია გამოხატული.

15. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკების მართვა

მიმოხილვა

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისგან. ამ ფინანსური ვალდებულების ძირითადი მიზანია კომპანიის კაპიტალური და საოპერაციო დანახარჯების დაფინანსება. კომპანიას აქვს პირდაპირ თავისი ოპერაციებიდან მიღებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება და ფულადი სახსრები მიმდინარე ანგარიშებზე.

კომპანიის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო რისკი, ლიკვიდობის რისკი და საბაზრო რისკი.

კომპანია არის საბოლოო მშობელი საწარმოს მიერ კონტროლირებული დიდი ჯგუფის ნაწილი. ფინანსური რისკების უმეტესობის ზედამხედველობა და კონტროლი ხდება საბოლოო მშობელი საწარმოს დონეზე. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების უმეტესობა კომპანიის საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებთან აქვს. ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ნაღდი ფულის მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და მომსახურების ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

(ა) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მეორე მხარე ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით ორგანიზაციას ფინანსური ზარალი მიაღებება. კომპანიას საკრედიტო რისკი აქვს საოპერაციო საქმიანობის (ძირითადად, სავაჭრო მოთხოვნები) და ფინანსური საქმიანობის ნაწილში, ასევე ბანკებში განთავსებული ანაზრებიდან გამომდინარე.

სს „ხრამჭესი I“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

15. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკების მართვა

(ა) საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას სავაჭრო მოთხოვნა აქვს საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს - შპს „თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანიის“ მიმართ 636 ლარის ოდენობით (2022 წლის 31 დეკემბერს: 491 ლარი). სავაჭრო მოთხოვნა შპს „თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანიის“ მიმართ უკავშირდება დეკემბრის გაყიდვებს და ის ვადაგადაცილებული არ არის. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სასესხო მოთხოვნა სს „თელასის“ მიმართ სრულად დაფარული იყო (2022 წლის 31 დეკემბერს: 6,216 ლარის ოდენობით სასესხო მოთხოვნა ვადაგადაცილებული არ იყო).

ჯგუფის შიგნით ვადაგადაცილებული ნაშთების და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების დაფარვას მართავს საბოლოო მშობელი საწარმო, ჯგუფში ფულადი რესურსების საჭიროების, და არა ინდივიდუალური ინსტრუმენტების ვადიანობის მიხედვით. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შპს „თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანია“ გადახდისუნარიანი საწარმოა და ნებისმიერი ვადადამდგარი თანხა დაბრუნდება, თუ წარმოიშობა დამატებითი სახსრების საჭიროება. ამგვარად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი მიჩნეულ იქნა არაარსებითად და მისაღები თანხებისთვის ანარიცხი არ შექმნილა.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ოთხ უმსხვილეს ქართულ ბანკში ინახება საერთაშორისო საკრედიტო რეიტინგით: BB-/B-/B+. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები არც გაუფასურებულია და არც ვადაგადაცილებული.

მაქსიმალური საკრედიტო რისკის ზომა საანგარიშგებო თარიღში იყო:

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები (მე-10 შენიშვნა)	637	493
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (მე-12 შენიშვნა)	1,500	9,021
სასესხო მოთხოვნა (მე-11 შენიშვნა)	-	6,216
	2,137	15,730

(ბ) ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიას გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა რომელიმე ფინანსური აქტივით. ლიკვიდობის მართვის მიმართ კომპანიის მიდგომაა, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადადამდგარი ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და კომპანიის რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

15. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკების მართვა

(ბ) ლიკვიდობის რისკი (გაგრძელება)

ლიკვიდობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსების ხელმისაწვდომობას საკმარისი საკრედიტო თანხების საშუალებით. კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებების და მოკლევადიანი აქტივების უმრავლესობა დაკავშირებული მხარეების მიმართ აქვს, შესაბამისად ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ეს კომპანიას ანიჭებს შესაბამის მოქნილობას გადახდების და მიღებული ფულადი სახსრების ვადებთან დაკავშირებით, რაც საჭიროა ბიზნესში ადეკვატური ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად მომავალში. საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით კომპანიის მოკლევადიანი აქტივები მათ მოკლევადიან ვალდებულებებს აჭარბებს. საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით მოკლევადიანი ვალდებულებები მათ მოკლევადიან აქტივებს 2,174 ლარით აჭარბებს. ეს ნეგატიური ლიკვიდობის ინტერვალი მეტწილად გამოწვეული იყო 11,000 ლარის ოდენობით დივიდენდებით, რომლებიც 2023 წელს გამოცხადდა და გაიცა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ კომპანიას აქვს 4,507 ლარის ოდენობით ვალდებულება საბოლოო მშობელი საწარმოს მიმართ (მე-17 შენიშვნა), რომელიც მრავალი წლის განმავლობაში არ დაფარულა და კომპანია არ მოელის, რომ საბოლოო მშობელი საწარმო მოითხოვს ამ თანხებს უახლოეს მომავალში, თუ ეს მის ფინანსურ სტაბილურობას დააზიანებს.

ცხრილში ქვემოთ მოცემულია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული გადახდების საფუძველზე:

	საბალანსო დირებუ- ლება	სახელშეკ- რულებო ფულადი ნაკადები	მოთხოვ- ნამდე	0-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე
2023 წლის 31 დეკემბერი						
ფინანსური ვალდებულებები						
საიჯარო ვალდებულებები	80	110	–	–	16	94
სავაჭრო და სხვა ვალდებულება (მე-14 შენიშვნა)	5,034	5,034	4,507	527	–	–
	5,114	5,144	4,507	527	16	94

	საბალანსო დირებუ- ლება	სახელშეკ- რულებო ფულადი ნაკადები	მოთხოვ- ნამდე	0-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე
2022 წლის 31 დეკემბერი						
ფინანსური ვალდებულებები						
საიჯარო ვალდებულებები	95	108	–	–	14	94
სავაჭრო და სხვა ვალდებულება (მე-14 შენიშვნა)	4,875	4,875	4,528	347	–	–
	4,970	4,983	4,528	347	14	94

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

15. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკების მართვა

(გ) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო. საბაზრო ფასები ორი ტიპის რისკს შეიცავს: საპროცენტო განაკვეთის რისკი და სავალუტო რისკი. ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებზეც საბაზრო რისკი მოქმედებს, მოიცავს სასესხო მოთხოვნებს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშებს.

შემდეგ ნაწილში წარმოდგენილი მგრძნობელობის ანალიზი ეხება პოზიციას 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. მგრძნობელობის ანალიზი მომზადებულია იმ საფუძველზე, რომ წმინდა ვალის ოდენობა, სესხის განაკვეთის პროფილი და ფინანსური ინსტრუმენტების პროპორციული წილი უცხოურ ვალუტებში მუდმივია.

კომპანია არ ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს იმ ფაქტის გამო, რომ მის ყველა ფინანსურ აქტივს და ვალდებულებას ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი აქვს.

სავალუტო რისკი გამოიხატება იმაში, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შეიძლება მერყეობდეს სავალუტო კურსის ცვლილების გამო. კომპანიისთვის დამახასიათებელი სავალუტო რისკი ძირითადად უკავშირდება უცხოურ ვალუტაში გამოხატულ ფინანსურ ვალდებულებებს.

კომპანია არ ახდენს გაცვლითი კურსის რისკის წინააღმდეგ ჰეჯირებას. კომპანიის სავალუტო რისკები ასეთი იყო:

	აშშ დოლარში გამოხატული	
	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	(4,507)	(4,528)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	–	840
წმინდა რისკის ზომა	(4,507)	(3,688)

აშშ დოლართან მიმართებაში ლარის გამყარება/გაუფასურება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოგების ან ზარალის ქვემოთ წარმოდგენილ თანხებს შემდეგნაირად გაზრდიდა/(შემამცირებდა). ეს ანალიზი ეყრდნობა სავალუტო კურსების მერყეობას, რომელიც კომპანიის აზრით მოსალოდნელი იყო საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღისთვის. ანალიზი ეფუძნება დაშვებას, რომ ყველა დანარჩენი ცვლადი მუდმივი რჩება.

	გამყარება	გაუფასურება
2023 წლის 31 დეკემბერი		
აშშ დოლარი (18.84%-იანი ცვლილება)	849	(849)
2022 წლის 31 დეკემბერი		
აშშ დოლარი (20%-იანი ცვლილება)	738	(738)

სს „ხრამჭესი I“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

15. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკების მართვა

(დ) სამართლიანი ღირებულება

კომპანიის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების ანალიზი ასე გამოიყურება:

		2023 წლის 31 დეკემბერი		2022 წლის 31 დეკემბერი	
		საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
	დონე				
ფინანსური აქტივები					
სავაჭრო მოთხოვნები (მე-10 შენიშვნა)	მე-3 დონე	637	637	493	493
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (მე-12 შენიშვნა)	1-ლი დონე	1,500	1,500	9,021	9,021
სასესხო მოთხოვნა (მე-11 შენიშვნა)	მე-3 დონე	–	–	6,216	5,803
ფინანსური ვალდებულებები					
საიჯარო ვალდებულებები	მე-3 დონე	80	80	95	90
სავაჭრო და სხვა ვალდებულება (მე-14 შენიშვნა)	მე-3 დონე	5,034	5,034	4,875	4,875

სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები და დაშვებები:

- ▶ ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების, სავაჭრო და სხვა ვალდებულებების და სავაჭრო მოთხოვნების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას არის მიახლოებული, რაც ამ ინსტრუმენტების მოკლევადიანი დაფარვის ვადით არის გამოწვეული;
- ▶ სასესხო მოთხოვნების და საიჯარო ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით მოქმედ ბაზარზე საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული განაკვეთების გამოყენებით.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები იზღუდება ძირითადი საშუალებებით, რომლებიც ფასდება გადაფასების მოდელის გამოყენებით და მისი კატეგორია სამართლიანი ღირებულების იერარქიაში მე-3 დონეს მიეკუთვნება.

(ე) კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს შესაბამისი კაპიტალის ბაზა (რომელიც განისაზღვრება კომპანიის ფასით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი საკუთარი კაპიტალის თანხის საფუძველზე), რომ დაკმაყოფილდეს კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნები.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

16. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო პირობითი ვითარებები საქართველოში

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირია საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა და სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს გაგებული. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყება არ დააკისრებს დამატებით გადასახადებს, ჯარიმებს ან სახდელებს, იმ წლიდან, რომელშიც წარმოიშვა დარღვევა ექვსი წლის გასვლის შემდეგ.

ამ გარემოებებმა შეიძლება საქართველოში შექმნან საგადასახადო რისკები, რომლებიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. მაგრამ შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს თუ ისინი შეძლებენ თავიანთი ინტერპრეტაციის განხორციელებას, ამას შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმძღვანელობა აფასებს თავის საგადასახადო პოზიციას და განიხილავს იმ გარიგებებს, რომლებიც შეიძლება ექვექვე დააყენონ საგადასახადო ორგანოებმა. როდესაც სავარაუდოა, რომ ამგვარი ექვსი წლის წარმოშობის შემთხვევაში წარმოიქმნება დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, კომპანია ანარიცხს აღიარებს თავის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

კონფლიქტი უკრაინაში

უკრაინაში კონფლიქტის შედეგად ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა კავშირმა უმკაცრესი ეკონომიკური სანქციები დაუწესა რუსეთს, მათ შორის რუსულ ბანკებს, სხვა საწარმოებსა და ფიზიკურ პირებს. კონფლიქტის დაწყების შემდეგ რუსული რუბლი უცხოურ ვალუტებთან მიმართებით მნიშვნელოვნად გაუფასურდა, ასევე გაუფასურდა რუსული ფასიანი ქაღალდების ბაზრების და სხვა ბაზრებზე რეგისტრირებული რუსული კომპანიების ღირებულება. სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, თუმცა უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი უკრაინაში, რუსეთსა და დანარჩენ მსოფლიოში. უკრაინა და რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან. მოსალოდნელია, რომ ომს უარყოფითი გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზე.

კომპანიის საბოლოო მშობელი საწარმოს აკონტროლებს რუსეთის ფედერაცია. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით, არც კომპანია და არც საბოლოო მშობელი საწარმო არ იყვნენ სანქცირებული ევროკავშირის, აშშ-ის და გაერთიანებული სამეფოს მიერ. კომპანია არ არის სანქცირებული საქართველოში. კომპანიას არ აქვს სავაჭრო ოპერაციები თავის საბოლოო მშობელ საწარმოსთან და საბოლოო ვალდებულების ერთადერთი ნაშთი უკავშირდება მართვის და ტექნიკური მომსახურებების ღირებულების ვალდებულებას 4,507 ლარის ოდენობით (მე-14, მე-17 შენიშვნები). გარდა ამისა, კომპანია არ ახორციელებს ოპერაციებს რუსეთში, უკრაინაში, გაერთიანებულ სამეფოში, აშშ-ში ან ევროკავშირში და მისი ბიზნეს-საქმიანობების უმრავლესობა საქართველოში ხორციელდება.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

16. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

საგადასახადო პირობითი ვითარებები საქართველოში (გაგრძელება)

2023 წლის განმავლობაში გადახდილი დივიდენდები განაწილდა მშობელ საწარმოზე, რომელიც არ არის სანქცირებული ევროკავშირის, აშშ-ის ან გაერთიანებული სამეფოს მიერ.

ზემოთ ხსენებულის გათვალისწინებით, გვჯერა, რომ კომპანიის ბიზნეს-საქმიანობებთან დაკავშირებული ცალსახა და არსებული საფრთხე არ არსებობს, თუმცა, ვინაიდან კონფლიქტი ჯერაც მიმდინარეობს, შეუძლებელია იმის სარწმუნოდ შეფასება, თუ როგორ აისახება ეს კომპანიის საქმიანობაზე, ასევე გაურკვეველია, რა მასშტაბის გავლენას მოახდენს ის ზოგადად ეკონომიკაზე.

17. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაცია

(i) ოპერაციები ხელმძღვანელობასთან

2023 წლის განმავლობაში კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო 315 ლარის ოდენობით ანაზღაურება (2022 წ.: 218 ლარი), რომელიც შედგებოდა ხელფასებისა და პრემიების, ასევე დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოებისგან.

(ii) ამონაგები

	გაყიდვები დაკავშირებულ მხარეებზე 2023 წლის განმავლობაში	გაყიდვები დაკავშირებულ მხარეებზე 2022 წლის განმავლობაში	მოთხოვნები დაკავშირე- ბული მხარეების მიმართ 2023 წლის 31 დეკემბერს	მოთხოვნები დაკავშირე- ბული მხარეების მიმართ 2022 წელს
ელექტროენერგიის გაყიდვა საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები (მე-6 და მე-10 შენიშვნები)	3,434	4,634	636	491

გაყიდვები ეფუძნება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილ ტარიფებს.

სს „ხრამჰესი I“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

17. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაცია (გაგრძელება)

(iii) საგაჭრო და სხვა ვალდებულება

	ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ 2023 წლის 31 დეკემბერს	ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ 2022 წლის 31 დეკემბერს
საბოლოო მშობელი საწარმოს მიმართ		
მართვის მომსახურების ღირებულება (მე-14 შენიშვნა)	3,504	3,521
ტექნიკური მომსახურების ღირებულება (მე-14 შენიშვნა)	1,003	1,007
	4,507	4,528

(iv) გაცემული სესხი

სულ სასესხო მოთხოვნების ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნული ლარია (2022 წლის 31 დეკემბერს: 6,216 ლარი). 2023 წლის საპროცენტო შემოსავალი 356 ლარს შეადგენს (2022 წელს: 857 ლარი). ხელახალი შეფასებით მიღებული ზარალი 284 ლარის ოდენობით (2022 წ.: 450 ლარის შემოსულობა) ასევე უკავშირდება სასესხო მოთხოვნებს საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს მიმართ (მე-11 შენიშვნა).